ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N43

სხდომის ჩატარების დრო:
12 აპრილი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია, ნინო ბიბილეიშვილი.

სულ: 9 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა კუბლაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **ანტონ ჩიხლაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ჯონდო არაბიძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელი **ელეონორა გოგოლაშვილი.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე,**

საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია,** საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N21-ში (ნაკვეთი N02/700) არსებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

2.ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, N31-სა და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3.გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4.„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა:** „წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შეჩერება მოვითხოვეთ, მოგახსენებთ, რომ დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი, საუბარია საქალაქთაშორისო ავტობუსების ავტოსადგომზე, ახლა შეიძინა კომპანიამ, რომელსაც სურს გააკეთოს ე.წ. ჰაბი, საწყობები , ეს ტერიტორია გზისპირია, გვინდა დეტალების დაზუსტება, ამიტომ ჩვენი თხოვნა იქნება, სანამ აღმასრულებელი საბოლოოდ შეჯერდება აღნიშნული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რათქმაუნდა უმჯობესია შემოვიდეს საკითხი, რომელიც დაზუსტებული იქნება.“

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება განკარგულების პროექტის, „ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N21-ში (ნაკვეთი N02/700) არსებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დღის წესრიგიდან ამოღებისა და დღის წესრიგის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ:

1.ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, N31-სა და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

2.გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3.„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, N31-სა და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „საუბარია ანჯაფარიძის ქუჩის მონაკვეთზე, საკმაოდ დიდი ტერიტორიაა, ქუთაისს აქვს ისტორიული გამოცდილება, ჯერ კიდევ ადრეული ხანიდან სტეკლოტარის ხიდს რომ გადმოვდივართ ხელმარცხნივ რიონისპირა განაშენიანება გვაქვს, ამჯერადაც მენაშენეს უნდა, რომ რაღაცა კუთხით გააგრძელოს ეს პროცესი, ჩადოს ინვესტიცია, კონკრეტულად სურს საცხოვრებელი კორპუსების მშნებლობა, ტერიტორიის ფართობი 3000 კვ.მეტრამდე მერყეობს და ვფიქრობ, ძალიან მისასალმებელი ინიციატივაა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „რამდენ სართულიან საცხოვრებელ კორპუსზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „დაახლოებით 9 სართულის ფარგლებში ფიქრობს მენაშენე."

კომისიის წევრი, ბატონი **კობა გურული:** „რამდენ სადარბაზოიანზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ეს უკვე გეგმარების საკითხია, 400 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის შემთხვევაში საჭიროა ორი კიბის უჯრედი, ასე რომ შესაძლოა სამ სადარბაზოიანიც იყოს ან თუნდაც სამი დამოუკიდებელი შენობა-ნაგებობა, ეს უკვე მენაშენეზეა დამოკიდებული."

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „გდგ-ს დამუშავებასთან დაკავშირებით ითხოვს თანხმობას?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ვინაიდან ზონა არის სარეკრეაციო, ჩვენ გადავხედავთ, შეგვიძლია დავავალოთ, რომ K1 ნაკლებად აითვისოს, მოგეხსენებათ ეს უკანასკნელი განაშენიანების ფართობია, მაქსიმალური ოდენობა არის ნახევარი (0,5) შესაძლოა რაიმე რეკომენდაციები იყოს ჩვენი მხრიდანაც. მოგახსენებთ, ისე არ უნდა გავაკეთოთ, რომ მდინარე რიონი ჩავსვათ კედლებში, მენაშენეს კი სურს 9 სართულიანი შენობის მშენებლობა, მაგრამ გადავხედოთ რას გვეტყვის სივრცითი, რა იქნება თქვენი

მოსაზრება, ვფიქრობ კარგი პრინციპი გვაქვს არჩეული, რომ თავდაპირველად გდგ-ს ინიცირება შემოდის თქვენთან შესათანხმებლად."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მე თუ მკითხავთ საერთო ჯამში მდინარისპირა სივრცე ყველა ქალაქში რესტორნებისა და სასტუმროებისათვის იდეალური ადგილი და საშუალებაა, ეგ ტერიტორია იმხელაა, კარგი იქნებოდა თავის დროზე რომ დაწყებულიყო მოქმედება ამ კუთხით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „მოგახსენებთ, რომ ინფექციურ საავადმყოფოსთან ერთი რესტორანი უკვე ამოქმედდა, მეორე დიდი კომპლექსი შენდება, ანუ ამ კუთხითაც ვითარდება ტერიტორია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ეს და მსგავსი საკითხები მოგეხსენებათ სიახლეა ჩვენს პრაქტიკაში და გზა და გზა ჩვენც ვეცნობით ამ სიახლეებს ერთად, გამომდინარე აქედან მებადება კითხვა თუ რა წონა აქვს ამ დოკუმენტს? გვიწესებს რაიმე ზედა ზღვარს? გვაქცევს ფარგლებში და გვეუბნება სად რამდენი რა ტიპის განაშენიანება უნდა მოვითხოვოთ? და აქვე დავამატებ, დავუშვათ დავწერეთ 6 სართული და განვსაზღვრეთ სიმაღლე პირობითად 21 მეტრი, შემდეგ, როდესაც მენაშენის მიერ, მეორე ეტაპისთვის თავიდან მოხდება ამ დოკუმენტაციის წარმოდგენა თავის კვლევებით, არქიტექურული თუ ტექსტური ნაწილით და მაშინ იქნა მიუღებელი ამ დავალებაში განსაზღვრული სიმაღლე, ხომ არ მოვალთ წინააღმდეგობაში ჩვენივე თავთან?"

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ახლაც ხომ ახლავს დოკუმენტებში ესკიზები? განსაზღვრულია ცხრა სართულიანი კორპუსის მშენებლობა და ვიზუალური მხარეც წარმოდგენილია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ამ დოკუმენტს, რაც არის შემოტანილი ძალიან ბევრი დამუშავება უნდა, როგორ მოერგება რეალობას სხვა საქმეა, ჩემი აზრით ამ თანხმობის მიცემით მენაშენეს ეძლევა საშუალება მოგვაწონოს წარმოდგენილი პროექტი და კანონის ფარგლებში მოაქციოს შემდგომი ორი ძირიტადი ეტაპის გასავლელად, მტკიცებულების ტვირთი გადადის მასზე, რას შემოგვათავაზებს, შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს არქიტექტურულ დეტალებზეც, ასევე მწვანე სივრცეზე და ა.შ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიკითხავ, ახლა გაცემული თანხმობით, მომდევნო ეტაპზე შეცვლილი აზრის დაფიქსირების გამო ხომ არ ექნება ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა და ხომ არ აღმოჩნდება, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას ვეწინააღმდეგებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „არ აღმოჩნდება, კიდევ ვიმეორებ ეს დოკუმენტი მხოლოდ ინიცირებას გულისხმობს, არ არის ბოლომდე დამუშავებული, ამით ჩვენ ვერ აღვიქვამთ რეალობას, ამას უნდა მოყვეს დანარჩენი დოკუმენტები, რომლითაც დადგინდება და შევხედავთ რეალობაში როგორ ჩაჯდება, ფუნქციურად რა იქნება და ა.შ., ასე რომ ნამდვილად არ შეგვზრუდავს მომავალში."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება და გეტყვით, ვიცით, რომ კერძო საკუთრება 3000 კვადრატული მეტრია, მაგრამ მენაშენე შემოდის ინიციატივით, რომ 5000 კვადრატულ მეტრზე გაკეთდეს ეს კვლევა, მართალია ჩვენივე ტერიტორიაზე გაკეთებული კვლევა შესაძლოა სამომავლოდ ჩვენვე გამოგვადგეს მაგრამ ეს 2000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობის ხარჯზე ხომ არ გადანაწილდება ის გამწვანების მოწყობის თუ სხვა ცარიელი სივრცის მოწყობის კოეფიციენტები რაც ევალება მენაშენეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „მოგახსენებთ, როცა შემოდის სხვისი ნაკვეთებიც ამ კვლევის დოკუმენტაციაში, ამ მესაკუთრეების თანხმობებიც საჭიროა, სახელმწიფოს საკუთრების შემთხვევაში მასთან შეთანხმებით ხორციელდება, გდგ-ს დამუშავების შემდეგ, რომელი ტერიტორიებიც შევა ამ გდგ-ს არეალში, უკვე პირველი ეტაპი ანუ მიწის გამოყენების პირობების დამტკიცება არ სჭირდება, ვინაიდან გდგ-მ უკვე იმსჯელა მასზე, ეს დამეთანხმებით დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მესმის პირობები და წესები მაგრამ კიდევ ერთ კითხვას დავსვამ, პირობითად თანხმობა რომ გაიცემა და 5000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობზე საიდანაც 2000 სახელმწიფო საკუთრებაა, ჩატარდეს ხსნებული კვლევა, შემდეგ არ დავდგეთ იმ რეალობის წინაშე, რომ მენაშენემ აითვისა თავის კუთვნილი 3000 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი და ჩვენს კუთვნილ ნაკვეთზეც მოახდინა დანარჩენი გამწვანება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ზუსტად ეს რომ არ მოხდეს იმიტომ შემოდის საკითხი ჩვენთან, ზოგადად ყველა მიწის ნაკვეთისთვის იქნება K1 კოეფიციენტი შესწავლილი, არ გამოვა რომ იქ K1 იყოს 0,7."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მესმის, რომ მენაშენემ თავის ნაწილში მაინც უნდა გაითვალისწინოს გამწვანების კოეფიციენტი, მაგრამ მოხდა ისე, რომ წარმოგვიდგინა თავის მინიმალური და ჩვენს კუთვნილ 2000 კვადრატულ მეტრზე სრულად მწვანე ნარგავების

განაშენიანება და ჩვენ ეს მოვიწონეთ როგორც ერთიანი 5000 კვადრატული მეტრის ფართობის გეგმად, მეორე დღეს რომ გამოჩნდეს ამ ტერიტორიის მყიდველი ვეღარ გავყიდით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „რათქმაუნდა არ უნდა მოვიწონოთ, თუ გასაყიდია უნდა შევიყვანოთ ნუსხაში მწვანე ზოლად, თუ მოვიწონეთ მაშინ სტატუსიც უნდა შეეცვალოს. კანონი ავალდებულებს მენაშენეს რომ 7000 კვადრატული მეტრის ფართობის უნდა იყოს ტერიტორია, მაგრამ 5000-იც დასაშვებია, მარტო ერთი მიწის ნაკვეთისთვის არ კეთდება გდგ, ეს არის უბნის დამუშავება, თუ როგორ უნდა განვითარდეს ეს უბანი, ეს საკითხიც იმიტომ არის შემოტანილი განვიხილოთ, თუ მოგვწონს დავეთანხმოთ, თუარადა შესწორება შევიტანოთ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ჩვენ მოვიწონეთ ტაბიძის ქუჩაზეც მსგავსი ინიცირების საკითხი და თუ აქვთ ვადა რაიმე განსაზღვრული, რომ შემდეგი ეტაპებიც ვნახოთ, მაინტერესებს ერთი პროექტის ერთი მთლიანი სრული ვერსია და დაახლოებით რა ვადებზეა გათვლილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „მოგახსენებთ, რომ გდგ-ს დოკუმენტაცია საკმაოდ სქელტანიანია, ეს არ არის ერთ დღიანი, ორ დღიანი ან თუნდაც ერთ თვიანი სამუშაო, მუშაობს ჯგუფი, დაახლოებით სამი წელია ვადა ამ გდგ-ს დამუშავებისა."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ხომ არ ვიმსჯელოთ კორპუსის სართულიანობაზე და პირველ ეტაპზე ეს ხომ არ განვიხილოთ წარმოდგენილ საკითხში, ივარგებს, არ ივარგებს, პროფესიულ დონეზე შეგიძლიათ შეფასება, ვიზუალურად რამდენად მისაღები იქნება 9 სართულიანი შენობის მშენებლობა, ხომ არ სჯობს რეალური შესაძლებლობა სართულების რაოდენობისა შევთავაზოთ და იმის მიხედვით დაიწყოს მშენებლობის დაგეგმვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ჩვენ ნამსჯელი გვაქვს აღნიშნულ საკითხზე, ძირითად შენობა-ნაგებობებს ეს შენობები ჩრდილს არ მიაყენებს."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „მე არ ვარ საქმის პროფესიონალი, თუმცა როგორც მახსოვს, სოხუმის ქუჩაზე რო გავეცით თანხმობა 7 სართულიანებზე, იქ ვზღუდავთ ხედის გამო და ეს 9 სართულიანი შენობა არ იქნება კონტექსტიდან ამოვარდნილი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის

შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „კოეფიციენტის მომატება რომ უნდა და არსებული განაშენიანება არ არის მაგხელა იმიტომ წამოვიდა გდგ-თი."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „თანხმობა რომ მისცეთ მენაშენე 15 სართულიანსაც გააკეთებს, სასტუმროს არ აკეთებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამას ძალიან დიდი თანხები სჭირდება და ბინათმშენებლობა ბევრად მარივია."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ამ დავალებაში მე ვკითხულობ 6 სართულიან 21 მეტრამდე სიმაღლის შენობებს და რამდენჯერმე ახსენეთ ცხრა სართული თქვენ."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „დოკუმენტს სათაურად აწერია 9 სართულიანი ბინის პროექტი როგორც ვიცი".

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „სავარაუდოდ თქვენ გულისხმობთ შემოსულ ინიცირებას, მაგრამ ჩვენს დავალებაში ნამდვილად წერია 6 სართული და 21 მეტრი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „შეცდომაა გაპარული ნამდვილად, აქ საუბარია 9 სართულიან შენობებზე."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „იგივე ამ დავალებაზე მაქვს კითხვა, ეს დოკუმენტი რაიმე შაბლონია და ყველა გდგ-ს ერგება თუ მაგალითად შესაძლებელია ესეთი რაიმე, რომ გავწეროთ ამ დავალებაში ყველა მოთხოვნა და პირობები, მაგრამ არ განვსაზღვროთ პირობითად ეს სართულები და შენობების სიმაღლე, ხოლო იმის შემდეგ, რაც ვნახავთ რომ პირობებს აკმაყოფილებს ეს სართულიანობაც მერე განისაზღვროს კანონის ფარგლებში, შეიძლება იმაზე მეტიც იყოს მისაღები, რაც მენაშენეს ჰქონდა განსაზღვრული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „შესაძლებელია რათქმაუნდა ტექსტურად გავმართოთ, რომ მეორე ეტაპზე წარმოადგინოს კონკრეტული მახასიათებლები."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რადგან კოლეგებში არსებობს მოსაზრება რომ დავაზუსტოთ წარმოდგენილი საბუთები და შემოვიდეს საბოლოო რედაქციით, გამომდინარე აქედან გადაიდოს საკითხი, ვგულისხმობ ტექნიკურ შეცდომას, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ დავალებაში წერია 6 სართულიანი 21 მეტრი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსები, როდესაც საუბარია 9 სართულიან 30 მეტრამდე შენობებზე."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა

კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, N31-სა და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ გადაიდოს, ტექსტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და დაზუსტების მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**.

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელმა ქალბატონმა **ელეონორა გოგოლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **ე.გოგოლაშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ გოეთეს ინსტიტუტმა გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით „მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვა“ და გამოვლინდა 35 გამარჯვებული მუნიცპალიტეტი, სადაც ერთ-ერთი არის ქუთაისი, გრანტის ოდენობა შეადგენს 5 000 ევროს და თქვენი თანხმობის შემთხვევაში განხორციელდება პროექტი რომელიც გულისხმობს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი იმ შენობა-ნაგებობების ფიზიკური რუკის მომზადებას, რომლებიც განკუთვნილია ანდა შესაძლოა სამომავლოდ განისაზღვროს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრუიებისთვის, რომ რაღაც ეკოსისტემა განვითარდეს, არის პროექტის შემდგომი ეტაპი და შესაძლოა გაცილებით დიდი გრანტიც მოვიპოვოთ შემდეგ ეტაპზე.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაქრო

მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ **ჯონდო არაბიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ჯ.არაბიძემ** აქვე განმარტა: „როგორც მოგეხსენებათ გასული წლის დასასრულს მიღებულ იქნა ახალი დადგენილება საკრებულოს მიერ, მოხდა ტექნიკური ხარვეზი, გაიპარა შეცდომა ერთ-ერთ პროგრამასთან მიმართებაში, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურის მოწყობა, რომელიც გულისხმობს ბავშვთა ატრაქციონების, დასასვენებლად განკუთვნილი ფანჩატურების, მარტივი ტიპის ტრენაჟორების და ძელსკამების შეძენა-მონტაჟს, ჩვენ ყველა პროგრამაში ფაქტიურად მივიღეთ ნულოვანი თანადაფინანსება გარდა ლიფტებისა და ეს პროგრამაც უნდა დარჩენილიყო, გამოგვრჩა ეს პროცენტული მაჩვენებელი 20/80%-ზე, როგორც იყო წინა დადგენილებაში უნდა გადმოსულიყო ახალშიც, გვჭირდება თქვენი თანხმობა, რომ კვლავ აღდგეს ეს პროცენტულობა.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 9 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზაქრო მამასახლისი, მაგდა კოსტავა, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი